

უცხოელ მეცნიერთა ქართველოლოგიური კვლევები

ეფთვიმე ათონელი, ბერძნულიდან ქართულად და ქართულიდან ბერძნულად მთარგმნელი და მეტაფრასტი*

კრისტიან ჰეგელი

სამხრეთ დანიის უნივერსიტეტი

სიტყვა *მეტაფრასტი* სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალგზის გაჟღერდა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე X-XI ს-ის ნაყოფიერ მთარგმნელს, ეფთვიმე ჰაგიორიტს ეხებოდა, მას ეფთვიმე იბერიელადაც ვიცნობთ (ე.ი. ქართველი, +1028 წ.). იგი განსაკუთრებით ცნობილი მის მიერ ბერძნულ ენაზე თარგმნილი *ვარლამ და იოასაფით* (ზოგან *იოსაფატი*) (შემდგომში – *ბარლაამი*) გახდა.¹ ეფთვიმეს ტექსტებს ზოგჯერ „მეტაფრასტულსაც“ უწოდებდნენ მეცნიერები, რომელთაც მხოლოდ მწირი ცოდნა ჰქონდათ იმ ფაქტობრივი მასალისა, რომელსაც დღეს ვფლობთ: ეფთვიმეს *ბარლაამი* მის თანამედროვე მეტაფრასტულ მენოლოგიონთან (ლიტურგიკული ტექსტების კორპუსი ათ ტომად, რომელიც 148

* წინამდებარე ნაშრომი შესრულდა დანიის ნაციონალური კვლევითი ფონდის ხელშეწყობით; გრანტი DNR102ID.1

¹ ეფთვიმეს ცხოვრების შესახებ, იხ.: R. Volk, *Die Schriften des Johannes von Damaskos*. 6, 1-2, *Historia animae utilis de Barlaam et Ioasaph* (PTS 60-1), Berlin 2006, 2009, here 6,1, pp. 1-95; B. Martin Hisard, *La vie de Jean et Euthyme et le statut du monastère des Ibères sur l'Athos*, *REB* 49, 1991, pp. 67-142. იმ მეცნიერთა შესახებ, რომლებიც ეფთვიმეს თარგმანებს მეტაფრასტულს უწოდებენ, ხოლო მას „მეტაფრასტს“, იხ.: *The Balavariani: a tale from the Christian East*, transl. by D. M. Lang, with an introd. By I. V. Abuladze, Los Angeles 1966, pp. 38-9; Saint John Damascene, *Barlaam and Ioasaph*, ინგლისური თარგმანი – C. R. Woodward & H. Mattingly, წინასიტყვაობა – D. M. Lang (Loeb classical library), Cambridge MA 1967, pp. xx-xxi and xxxi; და მიმოხილვა – Volk, *op. cit.*, pp. 59-61.

წმინდანის ცხოვრებას შეიცავს)² მრავალ შემთხვევაში ამჟღავნებს ტექსტობრივ მსგავსებას. ბუნებრივია, ეფთვიმე ნამდვილად იყო მეტაფრასტი (μεταφράστη) – „მთარგმნელი“, რომელმაც სულ ცოტა 170 ბერძნული ტექსტი მაინც გადმოაქართულა; მაგრამ, იყო იგი აგრეთვე „გადამამუშავებელი“, μεταφραστής (მახვილით ბოლო და არა ბოლოს წინა მარცვალზე), მსგავსი სიმეონ მეტაფრასტისა?³ ამ ორ მოღვაწეს შორის კავშირის გამოსავლენად ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. მათ შექმნეს ბიზანტიური ლიტერატურული ტექსტები, რომლებიც, შუა ბიზანტიური პერიოდიდან მოყოლებული, ყველაზე ხშირად გადაიწერებოდა (და სავარაუდოდ, იკითხებოდა კიდევ). (შემორჩენილია ბერძნული ბარლაამის 158 ნუსხა, ხოლო მეტაფრასტული კოლექციის 700 ხელნაწერი თუ ფრაგმენტი).⁴ ბევრი რამ გაკეთდა ამ ხელნაწერთა ურთიერთკავშირის გამოსარკვევად, თუმცა, კვლავაც ბევრი რამ საჭიროებს განმარტებას. ეს ეხება არა მხოლოდ დათარიღებას, ტექსტობრივ ანალიზს და გადაწერისა თუ თარგმნის ხერხებს. ამგვარ საკითხთა დაზუსტების შემდეგ, უფრო თამამად შეგვეძლება ვიმსჯელოთ, თუ რა საერთო მახასიათებლები აქვთ ამ უაღრესად პოპულარულ ნუსხებსა თუ თარგმანებს ნარატივის თავისებურებების ლინგვისტური მახასიათებლების კუთხით, და, არა ნაკლებ საინტერესოა გაირკვეს ავტორები იყენებდნენ თუ არა საერთო იდიომებსა თუ ფრაზეოლოგიას. წინამდებარე სტატია ამ მიმართულებით მცირეოდენი წინსვლის მცდელობას წარმოადგენს.

² ბერძნულ „ბარლაამსა“ და ბერძნულ ჰაგიოგრაფიულ /მეტაფრასტულ ტექსტებს შორის კავშირი ადრევე იყო შენიშნული, თუმცა არა ნათელი გააზრებით; მაგალითად იხ. შეჯამება ნაშრომისა D. M. Lang, St. Euthymios the Georgian and the *Barlaam and Ioasaph Romance*, *Bulletin of the School of Oriental and African studies* 17, 1955, pp. 306-25, უპირატესად pp. 323-5. მეტაფრასტულ მენოლოგიონისა და სიმეონ მეტაფრასტის შესახებ, იხ.: see A. Ehrhard, *Überlieferung und Bestand der hagiographischen und homiletischen Literatur der griechischen Kirche* (TU 50-2), Leipzig – Berlin 1936-52, ასევე, Ch. Høgel, *Symeon Metaphrastes: rewriting and canonization*, København 2002.

³ სიტყვაში მახვილის პოზიციით გამოწვეული განსხვავების შესახებ μεταφράστης “მთარგმნელი” და μεταφραστής, სიმეონ ლოგოთეტიტისთვის შერქმეული სახელი, იხ.: N. Τομαδάκης [N. Tomadakes], Εἰς Συμεῶνα τὸν Μεταφραστὴν, *ΕΕΒΣ* 23, 1953, pp. 113-38, გვ.115-6. ეფთვიმეს მიერ ნათარგმნი ლიტერატურის შესახებ, რომელიც კ. კეკელიძემ აღწერა, იხ.: M. Tarchnisvili, Die Anfänge der schriftstellerischen Tätigkeit des Hl. Euthymius und der Aufstand von Bardas Skleros, *Oriens Christianus* 38, 1954, pp. 113-24, გვ. 115, და Volk, *Die Schriften*. 6, 1 (ციტირებულია n. 1 [სქოლიოს ნუმერაცია – ე.ხ.]), p. 81.

⁴ ეს ციფრები მოხმობილია: Volk, *Die Schriften*, 6, 1 (ციტირ. n. 1), pp. 240-495; Høgel, *Symeon Metaphrastes* (ციტირ. n. 2), pp. 130-4.

ეფთვიმესა და მეტაფრასტულ კოლექციას შორის კავშირების გამოსავლენად რობერტ ფოლკმა, რომელიც ეფთვიმეს ბერძნულენოვანი ბარლაამის⁵ უკანასკნელი გამოცემის რედაქტორია, მეტად ფასეული მასალა წარმოადგინა. წიგნის გამოცემამდე გამოქვეყნებულ სტატიაში ფოლკმა ღრმა ურთიერთკავშირი გამოავლინა ეფთვიმეს ბარლაამსა და ორმოცზე მეტ მეტაფრასტულ ტექსტს შორის⁶. იგივე მიმოხილვა, რამდენიმე დამატებითურთ, ფოლკის გამოცემის სამეცნიერო აპარატშიც შევიდა.⁷ ფოლკის მიგნებებმა მოგვცა უნიკალური შესაძლებლობა იმისა, რომ შეგვესწავლა ამ ორი რედაქტორის /გადამმუშავებლის/ მთარგმნელის საერთო ინტერესები, ან სულაც, მუშაობის მსგავსი პროცედურები; და ასევე შესაძლებლობა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო შუა საუკუნეების ბიზანტიური ლიტერატურა. ამგვარი შეფასების პირველი ნაბიჯები ფოლკმა გადადგა, რომელმაც სტატიაში რამდენიმე პასაჟი განმარტა სიმეონ მეტაფრასტის „წმინდათა ცხოვრებიდან“, როგორც ეპიზოდები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით იმეორებდნენ სცენებს ბერძნული ბარლაამიდან.

იმის მიუხედავად, რომ ფოლკის კვლევები მეტად ფასეულია, კონკრეტული ტექსტების განმარტებისას ერთი, მეტად სერიოზული პრობლემა გამოიკვეთა – თუ რომელი ტექსტია პირველადი და რომელი – მისგან მომდინარე. ფოლკმა ბევრი პრობლემა გადაჭრა, შთამბეჭდავია მის მიერ გაჩეული ტიტანური შრომა ბარლაამის რედაქტირებისა და წინა პერიოდის მეცნიერებაში არსებული ფუნდამენტური შეცდომების წარმომავლობის დადგენაში. და მაინც, ზოგი საკითხი კვლავაც გადაუჭრელი დარჩა. ბერძნული ბარლაამის რედაქტირებისას, ფოლკი იმხანად არსებულ სხვადასხვა ჰიპოთეზას დაუპირისპირდა, განსაკუთრებით კი ბიზანტინისტთა შორის ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ბერძნული ბარლაამი არ არის ეფთვიმეს ხელიდან გამოსული თხზულება და რომ იგი ან იოანე დამასკელს ეკუთვნის, ან აწ უკვე დაკარგული სირიული შუალედური ტექსტიდან მომდინარეობს⁸. ყველა ეს მოსაზრება, რომელთაგან ზოგი მათგანი გაზიარებული იყო საოცარი სურვილით, რათა არ მიეღოთ ქართული წყაროებიდან

⁵ Volk, *Die Schriften*. 6, 2 (cited n. 1); ძველი გამოცემებიდან ყველაზე მეტად მისაღებია Woodward, Mattingly, Lang, John Damascene (ციტირ. n. 1).

⁶ R. Volk, *Urtext und Modifikationen des Griechischen Barlaam-Romans*. Prologomena zur Neuausgabe, *BZ* 86-7, 1993-4, pp. 442-61; ID., *Symeon Metaphrastes: ein Benutzer des Barlaam-Romans*, *RSBN* NS 33, 1997, pp. 67-180; ID., *Das Fortwirken Der Legende von Barlaam und Ioasaph in der Byzantinischen Hagiographie*, insbesondere in den Werken des Symeon Metaphrastes, *JÖB* 53, 2003, pp. 127-69.

⁷ იხ.: *the apparatus imitationum* in Volk, *Die Schriften*. 6, 2 (cited n. 1).

⁸ Volk, *Die Schriften*. 6, 1 (ციტირ. n. 1), pp. 37-54.

მომდინარე აშკარა და დამაჯერებელი ცნობა, ფოლკმა გააქარწყლა; შეიმუშავა საბოლოო ახსნა-განმარტება „იოანეს“ (არა დამასკელი!) შესახებ, რომელიც ბერძნულ ვერსიათა სათაურებში აქა-იქ გვხვდება; ამასთანავე, ბერძნული ვერსია ყოველგვარი ეჭვის გარეშე მიაკუთვნა ეფთვიმეს⁹. ამავე დროს, ფოლკმა თავად შეიმუშავა გარკვეული მოსაზრება, რომლებიც ეჭვქვეშ არასდროს დაუყენებია. მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ ბერძნული ბარლაამი არ იყო იოანე დამასკელის შრომა (თუმცა იგი იოანე დამასკელის! „თხზულებათა კრებულში“ განათავსა), იგი მიიჩნევდა, რომ ბერძნული ბარლაამი მეტაფრასტულ ტექსტებზე ძველი იყო და მათი ურთიერთდამოკიდებულების ბევრი შემთხვევა აჩვენებდა, რომ სწორედ სიმეონ მეტაფრასტმა გამოიყენა ეფთვიმეს ბარლაამის გარკვეული პასაჟები და არა პირიქით¹⁰. სიტუაცია კიდევ უფრო გაართულა იმ ფაქტმა, რომ ფოლკმა, იმ დიდი სარედაქტორო მუშაობისას ბარლაამის გამოცემაზე რომ გასწია, ერთმანეთისაგან განასხვავა ხელნაწერთა ორი ჯგუფი, რასაც სხვა გამომცემლებიც აკეთებდნენ (თუმცა ნაკლებ საფუძვლიანად), მისივე ტერმინოლოგიით, ხელნაწერთა *a* და *c* ოჯახი. თავდაპირველი ვარაუდის კვალდაკვალ, ფოლკის გამოცემისთვის ძირითად დასაყრდენ ტექსტად *a* ჯგუფის ერთ-ერთი ხელნაწერი შეირჩა; მით უფრო, რომ ეს ჯგუფი ადრინდელად იქნა მიჩნეული, რაზედაც მიუთითებდა 1021 წლით დათარიღებული უადრესი თარიღიანი ნუსხა¹¹. თუმცა, საკუთარი კვლევების საფუძველზე ფოლკმა მიიჩნია, რომ გარკვეული გრამატიკული და იდიომატური შეცდომების მიუხედავად, *c* ჯგუფი უფრო ძველი ვერსია იყო, და შესაბამისად, *a* ვერსია შედარებით გვიანდელი გადამუშავება უნდა ყოფილიყო, შესრულებული თავად ეფთვიმეს მიერ¹². ეს აღიარება დაგვიანებით კი მოხდა, მაგრამ ფოლკის გამოცემა *a* ვერსიას გვთავაზობს, მაშინ, როცა სამი წლის შემდეგ გამოცემული წინასიტყვაობა განმარტავს, რომ სინამდვილეში *c* ვერსია მასზე ძველია და ხელმისაწვდომია ადრე გამოცემული კრიტიკული აპარატის მეშვეობით.¹³ მაგრამ რამდენადაც ამ მცდარ ვარაუდზე დაყრდნობით მუშაობდა (რომ *a* უფრო ძველია ვიდრე *c*) ფოლკი ბერძნული ბარლაამისა და მეტაფრასტული ტექსტების შედარებისას *a* ვერსიას იყენებდა. ამის

⁹ Volk, *Die Schriften*. 6, 1 (ციტირ. n. 1), pp. 1-95; „იოანეს“ შესახებ იხ, იქვე: p. 85.

¹⁰ ამ საკითხის შესახებ ფოლკის არგუმენტები მეტად კომპლექსურია: Volk, Symeon Metaphrastes (ციტირ. n. 6), p. 86.

¹¹ ეს ხელნაწერი Volk's ms 57 (=B) ამ გამოცემას დაედო საფუძვლად, იხ.: Volk, *Die Schriften*. 6, 1 (ციტირ. n. 1), pp. 336-40.

¹² Volk, *Die Schriften*. 6, 1 (ციტირ. n. 1), pp. 582-94, განსაკუთრებით pp. 587-90.

¹³ Volk, *Die Schriften*. 6, 1 (ციტირ. n. 1), pp. 584-7.

გამო, მის მიერ ტექსტებს შორის გამოვლენილი ურთიერთკავშირი არც თუ ისე მკაფიოა. ამ მიზეზით, და ასევე რიგ შემთხვევებში *a* ვერსიის ტექსტობრივი სიახლოვის გამო ეფთვიმეს მიერ გამოყენებულ სხვა მასალებთან, ფოლკი დარწმუნებული იყო, რომ სწორედ სიმეონ მეტაფრასტმა გამოიყენა რამდენიმე ვრცელი, სიტყვასიტყვით გადმოღებული პასაჟი ეფთვიმეს ბერძნული ბარლაამიდან.

მაგრამ, 2009 წელს გროსმანის მცირე ზომის პუბლიკაციამ წარმოაჩინა, რომ ფოლკის ეს მოსაზრება მცდარი იყო¹⁴. მან ერთმანეთს შეუდარა პრე-მეტაფრასტული, მეტაფრასტული და ბარლაამის ტექსტის სამი პასაჟი, რომლებიც სამივე ტექსტში თითქმის იდენტურია; ამით აჩვენა, რომ სიმეონ მეტაფრასტი ყოველთვის ახლოს დგას ორივე – პრე-მეტაფრასტულ და ბარლაამის ვერსიებთან და ამ პარალელურ პასაჟებში ბარლაამი არცერთგან არ შეიცავს იმ პრე-მეტაფრასტულ ტექსტებს, რომლებიც მეტაფრასტულში არ არის. ეს კი ეჭვის გარეშე ასაბუთებს, რომ სწორედ ეფთვიმე იყენებდა სიმეონ მეტაფრასტის ტექსტებს, და არამც და არამც პირიქით.¹⁵

გროსმანის კვლევის შედეგი ის გახლავთ, რომ ფოლკის მოსაზრება, თუ როგორ იყენებდა სიმეონ მეტაფრასტი ბერძნული ბარლაამის ტექსტს, საპირისპიროდ უნდა იქნას გაზიარებული. უნდა შევეჩვიოთ იმ აზრს, რომ ეფთვიმე დაბეჯითებით იყენებდა სიმეონ მეტაფრასტის ფრაზეოლოგიას თავისი ბარლაამისათვის. სწორედ ეფთვიმე იყო მეტაფრასტული ტექსტების თავგამოდებული მკითხველი და მანვე ჩაუთმო ვრცელი მონაკვეთები თავის თარგმანში, ქართული ბალავარიანი მისთვის რომ მიემსგავსებინა და „მეტაფრასტულ“ ტექსტად ექცია. ამ თვალსაზრისით კი ძველი მეცნიერება სწორი იყო. ეფთვიმეს ბარლაამი მსგავსია სხვაგვარი მეტაფრასტისა, რადგანაც მასში ჩართულია ვრცელი და ზუსტი ციტატები სიმეონ მეტაფრასტიდან.

¹⁴ J. K. Grossmann, Die Abhängigkeit der vira des Barlaam und Ioasaph vom Menologion des Symeon Metaphrastes, *JÖB* 59, 2009, pp. 87-94.

¹⁵ გროსმანი მართებულად ასაბუთებს (Grossmann, Die Abhängigkeit [ციტირ. n. 14], p.94 n. 43), რომ მონაკვეთები დემოსთენედან, რომელზე დაყრდნობითაც ფოლკი საპირისპიროს ამტკიცებს (იხ.: Volk, Urtext [ციტირ. n. 6], p. 453), სხვაგვარად უნდა აიხსნას. ყველაზე მარტივი ახსნა ის გახლავთ, რომ მეორე ვერსიაში (*a* ვერსია) ეფთვიმემ უბრალოდ ჩაასწორა ტექსტი და დემოსთენეს სიტყვები მეტი სიზუსტით მოიყვანა. გროსმანის კრიტიკა მოკლედია მოცემული, შეფასებისა და კვლევის შედეგების გარეშე, R. Volk-ის სტატიაში: *From the desert to the Holy Mountain: the beneficial story of Barlaam and Ioasaph, in Fictional storytelling in the medieval Eastern Mediterranean and beyond*, ed. by C. Cupane & B. Krönung, Leiden 2016, pp. 401-26; იხ. pp. 415-6.

გროსმანის მიგნებების მეორე შედეგი ის გახლავთ, რომ აღარაა აუცილებელი ბერძნული ბარლაამის შექმნის თარიღი შემოვსაზღვროთ სავარაუდო უადრესი (ფოლკი და სხვები მას 975 წლის მახლობლად ათავსებდნენ, რადგან მიიჩნევდნენ, რომ ეფთვიმემ მთარგმნელობითი საქმიანობა 20 წლის ასაკში დაიწყო) და უგვიანესი – სიმეონ მეტაფრასტის მიერ *მენოლოგიონის* შექმნის სავარაუდო თარიღით (ფოლკის აზრით, იგი 987 წელს გარდაიცვალა, მაგრამ მეტაფრასტული საქმიანობის დასასრულად 982 წელი უფრო მეტად საფიქრებელია).¹⁶ ამგვარი დაანგარიშება ტოვებს 12 (ან სულაც 7) წლიან მონაკვეთს იმ სამუშაოსთვის, რასაც თავისუფლად დასჭირდებოდა ეს დრო: პირველი – ეფთვიმეს მიერ სოლიდური თხზულების თარგმნა და მეორე, კიდევ უფრო მოცულობითი სამუშაო – სიმეონის მიერ მისი გადამუშავება, რომელსაც ამ დროისათვის შეძენილი ექნებოდა ახლადშექმნილი ბარლაამის დიდი მოწონება. გაცილებით იოლია საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა, რაც ჩვენ ამჟერად სწორად მიგვაჩნია: ჯერ კიდევ ახალგაზრდა ეფთვიმე როგორღაც წააწყდა მეტაფრასტულ ტექსტებს (ამ საკითხს კვლავ მივუბრუნდებით), და რაღაც პერიოდში გადაწყვიტა ბერძნულიდან ქართულად თარგმნასთან ერთად, ქართულიდან ბერძნულადაც ეთარგმნა, და ბარლაამის სათარგმნელად მეტაფრასტული პასაჟები მოიშველია. ეს, შესაძლოა, მაშინ მომხდარიყო, როცა იგი მეტაფრასტულ ტექსტებს ქართულადაც თარგმნიდა. ბერძნული ბარლაამის შექმნა მეტაფრასტულ კორპუსზე წვდომას ნიშნავდა, სულ მცირე, კორპუსის 148 ტექსტიდან მესამედზე მაინც, რაც გულისხმობს, რომ ბარლაამის

¹⁶ 2002 წლის ჩემს პუბლიკაციაში, თარიღად, როცა (როგორც ჩანს) სიმეონი სამეფო წყალობისგან განვარდა და მეტაფრასტული საქმიანობა დაასრულა, 982 წელს მოვიაზრებდი. თუ ამ (შესაძლო) თარიღს არ შევიწყნარებთ, ნაკლები შესაძლებლობა გვრჩება მეტაფრასტული საქმიანობის დასრულებაზე მისათითებლად. სიმეონი ბასილი II-ის მმართველობისას გარდაიცვალა, მხოლოდ ნიკიფორე ურანოსის სააღაპე წიგნი გამოირიცხავს თარიღს 982-7, ბაღდადში პატიმრობის წლებს. 990 წელს ეფთვიმეს თავად შეეძლო წარმოედგინა მეტაფრასტული ტექსტები – *წმინდა გიორგის ცხოვრება*; იხ.: Volk, *Die Schriften*. 6, 1 (cited n. 1), p. 142; R. P. Blake, *Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la Laure d'Ivirion au Mont Athos*, ROC 28, 1931-2, pp. 289-361, და 29, 1933-4, pp. 225-71; 29 (1933-4)-ში p. 263. სამწუხაროდ, სიმეონ მეტაფრასტის მოღვაწეობის დათარიღებისთვის საჭირო ინფორმაცია არ არის ჩართული Høgel-ის ნაშრომებში: *Symeon Metaphrastes* (cited n. 2) და *Symeon Metaphrastes and the Metaphrastic movement*, in *Ashgate research companion to Byzantine hagiography*. 2, pp. 181-96, მაგრამ ეფთვიმეს მიერ 990 წელს სიმეონის ციტირება გვაფიქრებინებს, რომ მეტაფრასტული საქმიანობა 980 წელს ან მანამდე უნდა დაწყებულიყო, და 982 წელი, რომელიც ეფრემ მცირეს კოლოფონშია ნახსენები, ისევე, როგორც იაკობი იბნ-საიდთან, სიმეონის მუშაობის დასასრულია, ამ ყველაფრის შესახებ, იხ.: Høgel, *Symeon Metaphrastes* (ციტირ. n. 2), pp. 61-88.

დათარილება უნდა მოხდეს 982 წლიდან (წელი, როდესაც სიმეონს სამეფო კარზე აღარ წყალობდნენ და, სავარაუდოდ, სამწერლო მოღვაწეობაც შეწყვიტა), 1021 წლამდე. სწორედ ამ წლით თარიღდება ბერძნული ბარლაამის პირველი თარიღიანი ხელნაწერი.¹⁷ რადგანაც ეს ხელნაწერი *a* ვერსიას წარმოადგენს, პირველი თარგმანი – *c* ვერსია – შედარებით წინა პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს, ხოლო ამ ორი ხელნაწერის შექმნის თარიღებს შორის არსებული შუალედი, შესაძლოა, რამდენიმე კვირა ან რამდენიმე წელიც იყოს. ეფთვიმეს მამამ კოლოფონში სიამაყით წარმოადგინა ეფთვიმეს მიერ ნათარგმნი წიგნების ნუსხა, რომლებიც 1001-2 წლებში დაიწერა და ამ ნუსხაში არ გვხვდება ბარლაამი, თუმცა, რაკილა ამ ნუსხაში მხოლოდ ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნი ლიტერატურაა ნახსენები, ბარლაამი ამ ჩამონათვალში არც უნდა მოხვედრილიყო.¹⁸ მხოლოდ „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“, რომელიც 1042 წელს გიორგი მთაწმინდელმა, ივირონის მონასტრის უფრო გვიანდელმა ილუმენმა აღწერა, ეფთვიმეს მიერ ქართულიდან ბერძნულად ნათარგმნი ორი თხზულებაა მოხსენიებული: ბალაჰვარი (ჩვენი ბარლაამი) და თხზულება სახელწოდებით „აბუკურა“.¹⁹ გიორგისეული ბიოგრაფიის თანახმად, ეფთვიმემ 1019 წელს უარი თქვა წინამძღვრობაზე, რათა თავი მთლიანად მთარგმნელობითი საქმიანობისთვის მიეძღვნა. როგორც მარტინ-ჰისარდი აღნიშნავს, ეს ცნობა ეფთვიმეს, როგორც მთარგმნელის ორი აქტიური პერიოდის განსაზღვრაში გვეხმარება, ეს კი 975-1005 და 1019-28 წლებია.²⁰ ამგვარად, ბარლაამის *a* ვერსია შედარებით გვიან პერიოდს განეკუთვნება, ხოლო მკაფიო მინიშნება, თუ როდის შეიქმნა *c* ვერსია – არ გვაქვს.²¹ ერთ-ერთი არგუმენტი, *c* ვერსიის ადრეული პერიოდისთვის მისაკუთვნებლად, გახლავთ ტექსტში გრამა-

¹⁷ Volk, *Die Schriften*. 6, 1 (ციტირ. n. 1), p. 75.

¹⁸ იოანეს კოლოფონი ათონურ ხელნაწერში, იხ.: ms Athos, Moví 'Ivίpav, geo. 10, იხ.: Blake, Catalogue (ციტირ. n. 16), 28, 1931-2, pp. 339-44.

¹⁹ „ცხოვრების“ შექმნის თარიღისთვის, იხ.: *Actes d'Iviron. 1, Des Origines au milieu du XI siècle*, éd. Diplomatique par J. Lefort, N. Oikonomidès, D. Papachryssanthou, avec la collab. de H. Métrévélí (Archives de l'Athos 14), Paris 1985, I. 10, and Martin-Hisard, La vie de Jean et Euthyme (ციტირ. n. 1), p. 86; აგრეთვე, იხილე მსჯელობა: Volk, *Die Schriften*. 6, 1 (ციტირ. n. 1), pp. 81-5.

²⁰ Martin-Hisard, La vie de Jean et Euthyme (ციტირ. n. 1), p. 108.

²¹ *c* ვერსია დათარიღებულია: „Kaum nach 985“ („hardly after 985“) in Volk, *Die Schriften*. 6, 1 (ციტირ. n. 1), p. 86 (see also *ibid.*, p. 583), მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თანხვედრაში ყოფილიყო, სიმეონის გარდაცვალების თარიღთან, რაც ფოლკის აზრით 987 წელია.

ტიკული და იდიომატური შეცდომების არსებობა.²² შესაძლოა, იგი მაშინ შეიქმნა, როცა ეფთვიმე, ალბათ, ნაკლებად თავდაჯერებულად ფლობდა ბერძნულ ენას. ამრიგად, რაც შეეხება ბარლაამის დათარიღებას, დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეფთვიმემ ბარლაამი შექმნა 1021 წელს, ან უფრო ადრე. ეს გავლავთ უადრესი თარიღი, როცა ეფთვიმე, ორივე ენაზე – ბერძნულად და ქართულად თარგმნაში დახელოვნდა და მეტაფრასტული ტექსტების წვდომაც ჰქონდა (რაც ჩანს ბალავარიანის როგორც ადრეულ *c* ვერსიაში, ასევე მომდევნო *a* ვერსიაში). ეფთვიმე კონსტანტინოპოლში, სავარაუდოდ, ნიკიფორე II ფოკას დროს უნდა ჩამოსულიყო, სამეფო მძევლის სტატუსით. 964 წელს იმპერატორმა ტაო-კლარჯეთის კურაპალატთან, დავითთან წარმოებული სამშვიდობო მოლაპარაკების პასუხად საქართველოდან მძევლები მოითხოვა. ტაო-კლარჯეთი ქართული სამეფოა, ცენტრალური ტერიტორიების – აფხაზეთისა და ქართლის სამხრეთით მდებარე.²³ კონსტანტინოპოლიდან ეფთვიმე მამასთან ერთად ბითვინიაში, ულუმბოს მთაზე გაემგზავრა, და შემდგომ მალევე (არაუგვიანეს 969 წლისა) მივიდა ათონის მთაზე.²⁴ ნებისმიერ შემთხვევაში, მისი პირველი თარგმანი 977 წლით თარიღდება, აქედან გამომდინარე კ. კეკელიძე ასკვნის, რომ ეფთვიმეს მთარგმნელობითი მოღვაწეობა დაწყებულია არაუგვიანეს 975 წლისა და მისი დაბადების თარიღად 955 წელი განსაზღვრა (აქედანვე ვიგებთ, რომ მას თარგმნა 20 წლის ასაკში დაუწყია).²⁵ ეს კი ნიშნავს, რომ, ეფთვიმეს იმაზე გაცილებით ადრე დაუწყია თარგმნა, ვიდრე სიმეონ მეტაფრასტი მეტაფრასტირებას შეწყვეტდა, ან შესაძლებელია მანამდეც, სანამ ამ ტიპის საქმიანობას შეუდგებოდა. ამგვარად, ამ ორი ადამიანის მოღვაწეობის პერიოდი ერთმანეთს ემთხვევა. ნებისმიერ შემთხვევაში ეფთვიმეს, შესაძლოა, ემუშავა ქართული ბალავარიანის ბერძნულ ვარლაამ და იოასაფად გადაკეთებაზე 975 წლიდან 1021 წლამდე, თუმცა, პირველი *c* ვერსია 982 წლის შემდეგ დაუსრულებია, როცა მეტაფრასტული კოლექცია უკვე

²² ახლა უკვე ვიცით (კ. ჰ.), რომ გრამატიკული შეცდომები უმართებულოდ იყო გამოყენებული *c* ვერსიის გვიანდელ ნუსხად დასათარიღებლად, იხ.: Volk, *Urtext* (ციტირ. ნ. 6).

²³ Tarnishvili, *Die Anfänge* (ციტირ. ნ. 3), P. 127; Martin-Hisard, *La vie de Jean et Euthyme* (ციტირ. ნ. 1), pp. 87-8; Volk, *Die Schriften*. 6, 1 (ციტირ. ნ. 1), p. 78.

²⁴ არგუმენტები გვიანი დათარიღებისთვის, იხ.: Lefort, dans *Actes d'Iviron* (ციტირ. ნ. 19), I. 20.

²⁵ 977 წელს ახსენებს 981 წლით დათარიღებული ხელნაწერი, რომელიც გადამწერმა საბამ შექმნა და შეიცავს 977 წლის კოლოფონს, რომელიც ეფთვიმეს მამას, იოანეს ეკუთვნის. 981 წლის ხელნაწერი ქართულად თარგმნილ 24 ბერძნულ ჰომილიას შეიცავს (2 გრიგოლ ნაზიანზელისა, 1 გრიგოლ ნოსელის და 21 ბასილი დიდისა). თუ 977 წლის ხელნაწერიც იგივე იყო, ორი წელი გონივრულია სათარგმნელად, იხ.: Tarnishvili, *Die Anfänge* (ციტირ. ნ. 3), pp. 116-9.

შექმნილი იყო. თუმცა ჩვენ არ ვიცით, მეტაფრასტული ტექსტები 982 წლამდე დამოუკიდებლად ცირკულირებდა თუ არა, იმგვარად, როგორც ეს რამდენიმე ათწლეულის შემდეგ ხდებოდა.²⁶

ეფთვიმე, ივირონი და მეტაფრასტული კოლექცია

ეფთვიმე და სხვა ქართველები ათონის მთაზე, დიდ ლავრაში 979-8 წლამდე ცხოვრობდნენ, თორნიკეს სამხედრო წარმატების შემდეგ კი თავიანთ მონასტერში გადავიდნენ. თორნიკე მონასტრის ერთ-ერთი ძმა იყო, რომელიც ახლად აღსაყდრებულ იმპერატორ ბასილი II-ეს (976-1025)²⁷ დაეხმარა. ეფთვიმე ამ დროს უკვე რამდენიმე წელია, რაც აქტიურ მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდა. მისი მოღვაწეობა გაგრძელდა იოანე ნათლისმცემლისადმი მიძღვნილ ქართველთა მონასტერში, რომელიც რამდენიმე ათწლეულის შემდეგ „ქართველთა მონასტრად“, „ივირონად“ იწოდებოდა და რომლის ილუმინაცია ეფთვიმე 1004 წელს დაინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ იგი დაშორდა სიმეონ მეტაფრასტს და იმპერიის დედაქალაქს, დარჩა რამდენიმე გარემოება, რაც მას და მის წრეს მეტაფრასტულ ტექსტებთან აკავშირებდა. მართლაც, გარდა ბარლაამისა კიდევ რამდენიმე ფაქტი მიუთითებს, რომ ივირონის მონასტრის ლიტერატურულ საქმიანობასა და მეტაფრასტულ მენოლოგიონს შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა და მათ ერთმანეთთან დაკავშირებაში ეფთვიმე იყო ცენტრალური ფიგურა.²⁸

ჯერ კიდევ სამწერლობო მოღვაწეობის დასაწყისში, ეფთვიმემ წმინდანთა ცხოვრების მეტაფრასტული ქართული ვერსია შექმნა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეფთვიმეს თარგმანების ბევრი ჩამონათვალი შეიქმნა, მათ შორის არანაკლებ მნიშვნელოვანია ეფთვიმეს მამის, იოანესი; თუმცა არც ერთი მათგანი არ არის სრულყოფილი, განსაკუთრებით ნათარგმნ ჰაგიოგრაფულ ცხოვრებებთან მიმართებით.²⁹ უძველესი თარიღიანი ხელნაწერი, რომელიც ეფთვიმეს ნა-

²⁶ იხ. ერჰარდის „vermischter Metaphrast“, Ehrhard, *Überlieferung* (ციტირებული n. 2), vol. 3, pp. 91-341.

²⁷ ამის შესახებ იხ.: Martin-Hisard, *La Vie de Jean et Euthyme* (ციტირებული n. 1), pp. 87-93, სქოლიებითურთ.

²⁸ წინამდებარე პრეზენტაცია ს. პაპაიოანუს მიმოხილვას ეყრდნობა, რისთვისაც დიდად ვუმაღლიერები.

²⁹ მაგალითისთვის, ჩვენ ამ ნუსხაში ვერ ვიპოვეთ მეტაფრასტული „წმინდა გიორგის ცხოვრება“, რომელსაც ეფთვიმეს მიერ შესრულებულ თარგმანად მიიჩნევენ. Athos, Movr' Iβήρσαν, geo. 10 (see above n. 18).

თარგმნ მეტაფრასტულ ტექსტს შეიცავს, 990 წლითაა დათარიღებული თავად ეფთვიმეს ხელით დაწერილ კოლოფონში.³⁰ ეფთვიმეს მიერ ერთ-ერთი ხელნაწერის ავტოგრაფულ მინაწერში ვკითხულობთ: „სიმეონ ლოლოთეის „წმინდა გიორგის წამება“ საბერძნეთის ეკლესიების უმეტესობაში იკითხება, რადგან მეორეს წარმომავლობა საეჭვოა (აპოკრიფული?)“.³¹ ამგვარმა სიფრთხილემ, რომელსაც ეფთვიმე მეტაფრასტული ტექსტების, ბიბლიური თუ ბერძნული პატრისტიკული ლიტერატურის ქართულად თარგმნისას იჩენდა, იგი მეტად გათვითცნობიერებული გახადა პელენისტურ სიბრძნესა და ენაში, და მის მიერ ქართული ბალავარიანის ბარლაამად თარგმნაც ამასვე მოწმობს (დედანთან უფრო მიახლოებული თარგმანი: „იგი იკითხება როგორც ამისი თითქმის მსგავსი კომპენდიუმი“ – ე. ხ.). რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, როგორც ჩვენ ვიცით, კონსტანტინე VIII-ს მეფობამდე (1025-8) ივირონი ერთადერთი დადასტურებული მონასტერია, რომელიც იმ დროს ნამდვილად ფლობდა მეტაფრასტულ ხელნაწერებს³². სხვა არანაირი მოწმობა მეტაფრასტული ტექსტების შესახებ, გარდა ეფთვიმეს საქმიანობისა და ივირონის მონასტრის თარიღიანი ხელნაწერებისა, რომლებიც მეტაფრასტულ ტექსტებს შეიცავენ და ბასილი II-ის მეფობის ხანას განეკუთვნებიან, არ გვაქვს. ამ დროს, როგორც წყაროები მოგვითხრობენ, სიმეონ მეტაფრასტი სამეფო წყალობისაგან განვარდა; მუშაობაც შეწყვიტა და მიიღვა ვალა. ეს თავისდათავად მოულოდნელია იმ პოპულარობის ფონზე, რომლითაც მეტაფრასტული მენოლოგიონი მოგვიანებით სარგებლობდა: ჩვენამდე მოღწეული 700 ხელნაწერიდან (ფრაგმენტების ჩათვლით) უმრავლესობა XI-XII საუკუნის განეკუთვნება.³³

³⁰ Blake, Catalogue ციტირ. n. 16), 29, 1933-4, pp. 263-4; იხ. აგრეთვე ზემოთ n. 16. როდესაც ჩემს წიგნზე ვმუშაობდი (2002 წლიდან), სამწუხაროდ, ჩემთვის ცნობილი არ იყო ქართული მასალების ესოდენ დიდი მნიშვნელობა მეტაფრასტული ტექსტებისა და ხელნაწერების შესწავლაში. ეფთვიმე სიმეონ მეტაფრასტის შესახებ მნიშვნელოვან ტერმინს გვთავაზობს – ante quem. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სიმეონმა მუშაობა უფრო ადრე შეწყვიტა და მხარს უჭერს 982 წელს, რომელსაც იაპია იბნ საიდი და ეფრემი გვთავაზობენ; იხ.: Høgel, Symeon Metaphrastes (ციტირ. n.2), pp. 61-88.

³¹ ეს თარგმანია ბლეიკისეული ფრანგული თარგმანის, Blake, Catalogue (ციტირ. n. 16); იხ. აგრეთვე მომდევნო სქოლიო.

³² Volk, Die Schriften. 6, 1 (ციტირ. n. 1), p. 87, წერს, რომ ბარლაამი უკვე მათე საუკუნის ბოლოს იყო ცნობილი კონსტანტინოპოლში, მაგრამ მისი ერთადერთი „მოწმობა“ სიმეონ მეტაფრასტია, რომელსაც ალბათ შესაძლებლობაც კი არ ქონდა, რომ ბარლაამი წაეკითხა.

³³ Ehrhard, Überlieferung (ციტირ. n. 2) vol. 2, p. 306-659.

ათონზე ეფთვიმეს მიერ წარმოებული გაცხოველებული მთარგმნელობითი საქმიანობის ფონზე, ერთი რამ პასუხგაუცემელი რჩება – ივირონის წარმატებული გადამწერი თეოფანე რატომ უნდა ყოფილიყო დაკავებული ბერძნული მეტაფრასტული ცხოვრებების გადაწერით. მის მიერ შესრულებული 1004 წლის (Vatican, BAV, Ottob. gr. 422) და 1011 წლის ორი ხელნაწერი შემოგვრჩა (Athos, Μονή Κουτλουμουσιού, 25), რომლებიც მეტაფრასტულ ტექსტებს სხვა პაგიოგრაფიულ ტექსტებთან კომბინაციაში წარმოგვიდგენენ.³⁴ სხვა ცენტრებში მეტაფრასტული ტექსტებისადმი ინტერესის შესახებ არასაკმარისი მტკიცებულების გამო ივირონის მონასტერი მეტაფრასტულ ცენტრად მოჩანს. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რასაც ეფრემ მცირის, მეორე დიდი ქართველი მწერლის კოლოფონი მოგვითხრობს, რომ სიმეონმა დაკარგა სამეფო წყალობა და მენოლოგიონის გამოქვეყნება მხოლოდ ბასილი II-ის სიკვდილის შემდეგ გახდა შესაძლებელი.³⁵ მანამდე კი მას, ეფრემ მცირის თანახმად, კითხულობდნენ მხოლოდ „სახლებსა შინა“.³⁶ მოყვანილი ქართული წყაროების მიხედვით, რომლებიც მეტაფრასტულ მენოლოგიონს შეეხება, შესაძლოა, ამ „სახლებში“ იგულისხმებოდეს ათონური სამონასტრო სახლები, უპირატესად კი – ივირონი. შემდგომი კვლევები, მათ შორის ქართული მასალებისა, მეტს გაგვიმჟღავნებს ქართულ-მეტაფრასტული ურთიერთობების შესახებ.

ამრიგად, რახან ეფთვიმე ინტენსიურად იყენებდა მეტაფრასტულ ლექსიკას, საფიქრებელია, რომ ის ვერ იქნებოდა ივირონში ერთადერთი ადამიანი, ვინც ამ ტექსტებს საგანგებო ყურადღებას აქცევდა. საინტერესოა, რა როლი ითამაშა ქართველთა ჩართულობამ სიმეონ მეტაფრასტის აღიარებასა და მოგვიანებით მის წმინდანად შერაცხვაში. ორი საკითხი ამ მხრივ ნიშნეულია (თუმცა, მტკიცებულება არ მოგვეპოვება). გასაოცრად ერთნაირი ბედი ეწია მეტაფ-

³⁴ Ms Città del Vaticano, BAV, Ottob. gr. 422, იხ.: Ehrhard, *Überlieferung* (ციტირ. n. 2), vol. 2, p. 311 და vol. 3, p. 793; J. Irigoin, pour une étude des centres de copie byzantins. Suite, *Scriptorium* 13, 1959, pp. 177-209, p. 200 (მხოლოდ: “vies de saints”); და Volk, *Die Schriften*. 6, 1 (ციტირ. n. 1), p. 80 n. 415. Ms Athos, Μονή Κουτλουμουσιού, 25, იხ.: Ehrhard, *Überlieferung* (ციტირ. n. 2), vol. 2, p. 311 და vol. 3, pp. 130-5 (ირიგოინის ჩამონათვალში ეს ხელნაწერი არ გვხვდება). სხვა ორი ხელნაწერი, თეოფანეს ნუსხებისა გვხვდება ირიგოინის ჩამონათვალში, სახელდობრ, Moskow, GIM, Sinod. Gr. 162 და 15 (Vladimir 380 and 381) (დათარიღებული 1021-2 და მომდევნო 1023), რომლებიც, შესაძლოა შეიცავდეს მეტაფრასტულ ცხოვრებებს, იხ.: Ehrhard, *Überlieferung* (ციტირ. n. 2), vol. 3, p. 741.

³⁵ Høgel, *Symeon Metaphrastes* (ციტირ. n. 2), pp. 127-30.

³⁶ ქართულად [სახლებსა შინა], იხ.: К. С. Кекелидзе [K. S. Kekelidze], Симеон Метафраст по грузинским источникам, *Труды Киевской духовной академии* 2, 1910, pp. 172-91.

რასტულ ტექსტებსა და ეფთვიმეს ბარლაამს; და საყურადღებოა ქართველთა, განსაკუთრებით კი ივირონის სტატუსი კონსტანტინოპოლის სამეფო კარზე.

„იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ ეფთვიმეს გარდაცვალების გარემოებებზეა საუბარი. იმპერატორ კონსტანტინე VIII-ეს, ბასილი II-ის ძმასა და მემკვიდრეს „ეფთვიმე უყვარდა მისი სიწმინდის გამო და ეფთვიმე კონსტანტინოპოლში 1028 წელს მასთან შესახვედრად ჩამოვიდა.³⁷ იგი ქუჩაში მიდიოდა, როცა უპოვარმა დახმარება სთხოვა, ის იყო ექვთიმეს ფული უნდა მიეცა, რომ ჯორი, რომელზეც იგი იყო ამხედრებული, გლახაკის ძონძებმა დააფრთხო და გაიქცა. ამის შედეგად ეფთვიმე დაშავდა და მალე გარდაიცვალა კიდევ. საფუძველს მოკლებულია ეფთვიმეს აღსასრულის თარიღის ეჭვქვეშ დაყენება, მსგავს საკითხებს ხომ დიდი სიზუსტით ინიშნავდნენ, თუმცა მისი გარდაცვალების გარემოება გარკვეულ ეჭვებს ბადებს. ცნობილ მწერალთა ბიოგრაფიებში რეალური ამბების შერწყმა მწერლის მიერ აღწერილ, გამოგონილ მოვლენებთან ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა. ეფთვიმეს ცხენით გასეირნება და მათხოვართან შეხვედრა მოგვაგონებს სცენებს, რომელშიც იოასაფი, ეფთვიმეს ბერძნული ბარლაამის ახალგაზრდა პროტაგონისტი მონაწილეობს. ნუთუ შესაძლებელია, რომ ციხე-სიმაგრეების, მათხოვრებისა და ცხენებით სეირნობის შესახებ ამბავი გამოგონილი იყოს ეფთვიმეს მეორე წმინდა იოასაფად წარმოსადგენად და ჩამატებული იყოს ცხოვრებაში იმის საჩვენებლად, თუ რაოდენ იოლი იყო მისთვის წვდომა კონსტანტინე VIII-ის კარზე? ძნელი სათქმელია, რადგან, შესაძლოა, ეფთვიმეს პქონდა კიდევ წვდომა კონსტანტინე VIII-ის კარზე, იმის მიუხედავად, რომ კონსტანტინოპოლის სამეფო კართან ურთიერთობა ქართველებს გარკვეული დროით გაუფუჭდათ, რომანოზ III არგიროსის დროს (1028-34), რომელმაც ეფთვიმეს გარდაცვალების შემდეგ ქართველებს ჩამოართვა ის პრივილეგიები, რომლითაც ათონის ქართველობა სარგებლობდა – მის წინააღმდეგ აჯანყებაში ქართველთა მონაწილეობის გამო.³⁸ 1029 წლიდან 1035 (ან 1041) წლამდე ივირონს მღელვარე პერიოდი დაუდგა, ბერები იხსენებდნენ, რომ „ბერძნები“ შეეცადნენ ჩამოერთმიათ მონასტრის მართვა-გამგეობა. მხოლოდ მიქაელ IV-ის აღსაყდრებიდან ერთი წლის შემდეგ, 1035 წელს (მიქაელ V-მ ეს საბოლოოდ 1041 წელს დაადასტურა), „ქართველთა“ უფლებები კვლავ აღდგა საიმპერატორო კეთილგანწყობის შედეგად. საიმპერატორო წყალობის დროებითი დაკარგვით აიხსნება ის ზიანი, რომელიც ბარლაამის

³⁷ Martin-Hisard, La vie de Jean et Euthyme (ცეტირ. n. 1), pp. 124-6.

³⁸ იქვე, pp. 70-.

ხელნაწერებს მიადგა. როგორც ფოლკმა აღნიშნა, ამ ხელნაწერთაგან რამდენიმეს თავფურცელი დაიკარგა, როგორ ჩანს, იგი განზრახ დააზიანეს.³⁹ რიგ შემთხვევებში კი ჩანაცვლებული თავფურცელი განსხვავებულ პროლოგს გვთავაზობს, სადაც ეფთვიმეს სახელი აღარ იხსენიება, სავარაუდოდ, ეს იმ მიზნით გაკეთდა, რომ ბარლაამის ტექსტთან ქართველების კავშირი გამოერიცხათ. ნებისმიერ შემთხვევაში, არსებობს გარკვეული თანხვედრა ივირონის ქართველებთან იმპერატორის კეთილგანწყობის დაბრუნებასა (1035/1041 წლებში) და პირველი თარიღიანი, „ნამდვილი“ მეტაფრასტული ხელნაწერის შექმნას შორის.

ჩვენი პირველი დათარიღებული მეტაფრასტული ხელნაწერი 1042 წელს განეკუთვნება, რომლის შემქმნელი ან დამკვეთი ვინმე ნიკიტაა, იმპერატორ მიქაელ V-ის ხაზინადარი.⁴⁰ ეფრემ მცირე, სიმეონ მეტაფრასტისადმი მიძღვნილ კოლოფონში, ირიბად მიაჩნებებს, რომ მეტაფრასტული ტექსტები კვლავაც პატივისცემით სარგებლობდნენ (და მათი ავტორი წმინდანად შეირაცხა) ბასილი II-ის გარდაცვალების შემდეგ. ეს შესაძლოა კონსტანტინე VIII-ის, მიქაელ IV-ის ან მიქაელ V-ის ზეობისას მომხდარიყო. მიუხედავად გაურკვევლობისა, მათი ურთიერთკავშირის გათვალისწინებით, ფარული მიმართების არსებობა ბარლაამსა და მეტაფრასტულ ტექსტებს შორის სავარაუდოდ ჩანს.

ეფთვიმეს მიერ სიმეონ მეტაფრასტის გამოყენება

როგორც ვნახეთ, როცა ეფთვიმე ბარლაამს ქმნიდა, მას ყველა მეტაფრასტულ ტექსტზე ჰქონდა წვდომა. 48 (ფაქტიურად 50)⁴¹ ტექსტი, რომელსაც ის ციტირებს მეტაფრასტული *მენოლოგიონის* ათივე ტომს მოიცავს. ეს ათტომეული რომ გვიანი პერიოდისაა იყოს (უძველესი შემორჩენილი ათტომეული, როგორც ზემოთ აღვნიშნე 1042 წლისაა), დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეფთვიმე ყველა მეტაფრასტულ ტექსტს იცნობდა. ციტირებისას, იგი ყველა მათგანს იმავენაირად ან ერთი და იგივე მოცულობით როდი იყენებს. ქვემოთ, ძირითადად ფოლკის მონაცემებზე დაყრდნობით, შევეცდებით აღვწეროთ, თუ როგორ და რა მიზნით იყენებდა ეფთვიმე მეტაფრასტულ ტექსტებს.

³⁹ Volk, *Die Schriften*. 6, 1 (ციტირ. n. 1), pp. 63-4.

⁴⁰ Ms Athos, Moví 'Iñpaw, 16, თარიღიანი ხელნაწერების შესახებ, იხ.: Ehrhard, *Überlieferung* (ციტირ. n. 2), vol. 2, p. 685-90.

⁴¹ To the 48 texts listed by Volk, ფოლკის მიერ ჩამოთვლილ 48 ხელნაწერს უნდა დავუმატოთ მეტაფრასტული „ფსევდო-კლიმენტი“ და „ანტონი დიდის ცხოვრება“, რომელსაც შესაძლოა იყენებდა ეფთვიმე, რადგან იგი ათანასე ალექსანდრიელის შრომის იდენტურია, იხ.: Volk, *Die Schriften*. 6, 1 (ციტირ. n. 1), pp. 478 და 491.

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეფთვიმე თავისი ბარლაამისათვის მეტაფრასტული ტექსტების გარდა მრავალ სხვა წყაროსაც იყენებდა. მთავარი წყარო, რა თქმა უნდა, ქართული ბალავარიანი იყო, რომელიც, მასში ჩართულ ლეგენდებთან ერთად ტექსტის ძირითად ნაწილს წარმოადგენს.⁴² როგორც ეს დიდი ხნის წინათაც აღნიშნეს, ეფთვიმე არა მხოლოდ თარგმნიდა, არამედ ურიცხვი ციტატებით ამდიდრებდა და ამშვენებდა ტექსტებს. ბიბლიური ციტატების მრავალრიცხოვნება ნათლად წარმოაჩენს ეფთვიმეს მიერ საღმრთო წერილის ბრწყინვალედ ცოდნას.⁴³ ამასთანავე, იგი მდიდარ პატრისტიკულ ლიტერატურასაც იყენებდა,⁴⁴ მათ შორის ე.წ. *არისტიდეს აპოლოგიას*, რომელიც თითქმის უცვლელადაა მოტანილი და ქრისტიანული დოგმებისა და მოციქულთა ისტორიის უსაფრთხო მართლმადიდებლურ განმარტებას გვთავაზობს. ამით იგი თხზულებას ერესული ბრალდებებისგან იცავს (რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა უცხო წმინდანების პრეზენტაციას ან, კიდევ უფრო, ახალი თეოლოგიური ხედვების შემოტანას).⁴⁵ ეფთვიმეს მიერ ტექსტების გამოყენების ხერხები ფოლკმა საფუძვლიანად შეისწავლა.⁴⁶ ფოლკის *apparatus fontium* წარმოგვიდგენს პატრისტიკული და ჰაგიოგრაფიული ტექსტების სხვადასხვა ფორმით გამოყენებას; მაგრამ არცერთ მათგანს არ გაუმრავალფეროვნებია ბარლაამი ისე, როგორც უხვად ჩართულმა სიმეონ მეტაფრასტის ტექსტებმა, რაც, ზემოთ აღწერილი პრობლემის გამო, ფოლკის *apparatus fontium*-ში კი არ არის ასახული, არამედ *apparatus imitationum*-ში (ტექსტის ხელახალი გამოყენების შემთხვევათა ჩამონათვალი). ზემოთ მოყვანილი ანალიზის მიხედვით (გროსმანი), მისი ტექსტები განხილული იქნება, როგორც წყარო, რომელსაც ეფთვიმე ეყრდნობოდა (და ამიტომ, ნამდვილად განეკუთვნება *apparatus imitationum*-ს).

50 მეტაფრასტული ტექსტიდან, რომელთა ციტირებასაც ახდენს ეფთვიმე, 15 მათგანი მეტად მნიშვნელოვანია (როგორც ციტატების მოცულობით, ასევე

⁴² ი. აბულაძე, *ბალავარიანის ქართული რედაქციები* (ძველი ქართული ენის ძეგლები 10), თბილისი 1957.

⁴³ იხ.: the "Bibelindex": Volk, *Die Schriften*. 6, 2 (ციტირ. n. 1), pp. 465-75 და 6, 1, pp. 138-40.

⁴⁴ იხ.: the "Index der ninctbiblischen Quellen": Volk, *Die Schriften*. 6, 2 (ციტირ. n. 1), pp. 476-90.

⁴⁵ ეს ტექსტი „ბალავარიანის“ 27-ე თავიდანაა, იხ.: of chap. 27 of the *Barlaam*, Volk, *Die Schriften*. 6, 2 (ციტირ. n. 1), pp. 264-84; იხ. აგრეთვე მსჯელობა: Volk, *Die Schriften*. 6, 1 (ციტირ. n. 1), pp. 122-35.

⁴⁶ Volk, *Die Schriften*. 6, 1 (ციტირ. n. 1), pp. 96-138.

შინაარსობრივად).⁴⁷ უპირველეს ყოვლისა, ესაა რამდენიმე ტექსტი მოციქულებს და მოციქულთა ხანას რომ უკავშირდება, სახელდობრ, თომას, იოანეს, ფილიპეს, მათესა და ლუკას მეტაფრასტულ „ცხოვრებებს“. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება გრიგოლ განმანათლებლის მეტაფრასტული ცხოვრება (ე.ი. სომეხთა განმანათლებლისა), რომელიც, ასევე, სამოციქულო ტიპისა და ფორმის თხზულებაა. ეს ყველაფერი შეთანხმებულია დანარჩენ, არანაკლები მნიშვნელობის მქონე მეტაფრასტულ ტექსტებთან, როგორიცაა – სერგისა და ბაქოსის, თევლას, ეკატერინეს, პოლიევქტოსის, მარტინიანეს, პავლე თებაიდელის, კვიპრიანესა და იუსტინეს, ილარიონისა და პროკოფის „ცხოვრებანი“. ციტატები ამ 15 მეტაფრასტული ტექსტიდან ხშირად გვხვდება და თემატური მნიშვნელობითაა დატვირთული.

სანამ ეფთვიმეს მიერ ამ 15 ტექსტის გამოყენების ხერხებს გავაანალიზებდეთ, დასაწყისშივე უნდა ავხსნათ, თუ რატომ ვანიჭებთ ნაკლებ მნიშვნელობას დანარჩენ 35 ტექსტს: როგორც ჩანს, ციტატები ამ 35 „ცხოვრებიდან“, ისევე, როგორც სხვა პატრისტიკული და ჰაგიოგრაფიული წყაროები, რომელსაც ეფთვიმე იყენებდა, იმ კოლექციებიდან იყო, რომელზე ეფთვიმეს ხელი მიუწვდებოდა ან, სულაც, მის მიერ იყო შესრულებული, რათა მოგვიანებით იგი ბარლაამში ჩაერთო. ეს ციტატები მეტისმეტად ბევრია და ზედმიწევნითი სიტყვიერი სიზუსტითაა გადმოტანილი მეტაფრასტული (და სხვა) ტექსტებიდან საიმისოდ, რომ მხოლოდ მეხსიერებაზე დაყრდნობით იყოს შესრულებული. ისიც ნაკლებად სავარაუდოა, რომ ციტატები უშუალოდ მეტაფრასტული ტექსტებიდან იყოს გადმოწერილი. მოკლე ფრაზები თითქმის ყველა შემთხვევაში სტანდარტული წინადადებებია დოგმატებისა და რწმენის შესახებ ან ტიპურ სცენებს აღწერენ ჰაგიოგრაფიიდან (მარტვილობას, დაკითხვას, ასკეტიზმს ან ერთგულებას), რომლებიც ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა, შერჩეული იყვნენ მათი ალეგორიული ექსპრესიულობის გამო. ეს საეჭვოს ხდის, რომ ეფთვიმე მათ უშუალოდ მეტაფრასტული ტექსტებიდან იწერდა. საფიქრებელია, რომ ეფთვიმეს ხელთ გარკვეული ტიპის ამონარიდების შუალედური კრებული ჰქონდა.

რაც შეეხება 15 მნიშვნელოვან ტექსტს, ჩვენ მათი ხელახალი გამოყენება გვხვდება როგორც მოკლე ციტატების სახით (რომლებიც, ასევე, შესაძლებელია, თავდაპირველად ექსცერპტების სახით არსებობდა), ასევე გრძელ მონაკვეთებად (ზოგჯერ სხვა პერიფრაზით) ბარლაამის ხუთ საკვანძო პასაჟში,

⁴⁷ გამოცემა, რომლითაც ვსარგებლობთ იდენტურია: Volk, *Die Schriften*. 6, 1 (ციტირ. n. 1), pp. xv-xxvii.

რასაც შეიძლება ტექსტური მოზაიკაც ვუწოდოთ.⁴⁸ ეს ხუთი პასაჟი ბარლაამის იკითხება როგორც ერთ მთლიანობად შეკრული სხვადასხვა ტექსტების მეტაფრასტული ციტატები. მაგალითისთვის, 2.181-დან 3.35-მდე, სადაც გრიგოლ განმანათლებლისა და წმინდა ეკატერინეს „ცხოვრებები“ ერთმანეთშია გადაჯაჭვული და ჩასმული, რათა შემოიღო მეფის მუქარის თვალთა ქვეშ სრულყოფილად დაიხატოს წარმართული კულტის თაყვანისცემა და მსხვერპლშეწირვა.⁴⁹ ამგვარადვე, მსგავსი მოზაიკითაა წარმოდგენილი გრძელი მონაკვეთი თევდა მოგვის შესახებ ბარლაამის 29-ე თავში; ამჯერად ერთმანეთში გადაჯაჭვული რამდენიმე პასაჟით გრიგოლ განმანათლებლის, მარტინიანეს და წმინდა ეკატერინეს „ცხოვრებებიდან“. ამ პასაჟებიდან ბევრი გნომიკური (აფორისტული) ხასიათისაა, მაგრამ ახლო დაკვირვებით ცხადი ხდება, რომ ეფთვიმეს ან შესაბამისი ტექსტები უნდა ჰქონოდა ხელთ, ან მათგან მომდინარე ექსცერპტების კრებული. ამგვარი მოზაიკის პოვნა შესაძლებელია 30. 32-დან 85-მდე (თხრობაში ჩართულია ერთმანეთთან შერწყმული ნაწყვეტები მარტინიანეს, პავლე თებელის, კვიპრიანეს, ილარიონისა და თევლას „ცხოვრებებიდან“) და 35. 4-დან 27-მდე (შერეულია გრიგოლის ცხოვრებისა და პროკოფის ცხოვრების ნაწყვეტები). და ბოლოს, ერთი მოზაიკა ბარლაამის დასაწყისში, თავი 1.1-30, თემატურად მოციქულთა პირით საუბრობს, მოხდენილად კონსტრუირებული ერთმანეთთან შერწყმული ამონარიდები „მოციქულთა ცხოვრებიდან“: დახვეწილი კომბინაციაა მოციქულთა – თომას, იოანესა და ფილიპეს „ცხოვრებათაგან“.

ტექსტის ბოლო მოზაიკა ნათლად ეხმიანება არისტიდეს აპოლოგიის გამოყენების მიზანს.⁵⁰ მისმა ტექსტმა უნდა განადიდოს მოციქულთა სახეები, რითაც ბიზანტიელ მკითხველსა და მსმენელს იმთავითვე მიანიშნებს თუ რა პოზიციით უნდა იქნას ტექსტი გააზრებული, ე.ი. როგორ ხდება ახლად გაქრისტიანებულ ქვეყანაში. მსგავს მიზანს ემსახურება გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრება, სადაც მოქმედება სომხეთში ხდება (სუსტი მინიშნებით იბერებზე, ე.ი. ქართველებზე). ამ ტექსტიდან ნაწყვეტების ჩართვა საყურადღებოა ეფთვიმეს შესაძლო ლოკალურ (ნაციონალურ) ინტერესზე მინიშნების თვალსაზრისით.

⁴⁸ ყველა სქოლიო ტექსტისა და apparatus imitationum-ისთვის; იგივე ინფორმაცია შეგვიძლია ვნახოთ „Index der Testimonien (Benutzer der Barlaam-Romans),“ Volk, *Die Schriften*. 6, 1 (ციტირ. n. 1), pp. 491-4).

⁴⁹ ეკატერინეს ცხოვრება იგივე მიზნითაა გამოყენებული ამ მონაკვეთშიც: 26. 27-118.

⁵⁰ Volk, *Die Schriften*. 6, 1 (ციტირ. n. 1), pp. 122-35.

ეფთვიმე მეტაფრასტული თხზულებებიდან ტექსტობრივ მოზაიკას სახელის მოსახვეჭად ან ინტერტექსტუალობით სიამოვნებისთვის როდი შექმნიდა. მეტაფრასტული ტექსტები ჯერ კიდევ ახალი იყო და, შესაძლოა, სიმეონ მეტაფრასტის ხვედრის გამო ბასილი II-ის მეფობის ხანაში მათ ეჭვითაც უყურებდნენ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ ტექსტებს ვინმე იცნობდა, საჭირო იყო მეტაფრასტულ ნარატივებში მეტად გაცნობიერებული მკითხველი თუ მსმენელი, რომ ამ პროცედურისადმი ნდობა გამოეყვლინებინა. მონაკვეთებს, რომლებიც ერთი ტექსტის ინტენსიურ გამოყენებას ასახავს, შეიძლება შევხედოთ, როგორც კონკრეტული ტექსტის კიდევ ერთხელ გახსენებას. იმის მიუხედავად, რომ ეფთვიმეს საქმიანობა შესაძლოა ცენტონის (სხვა ნაწარმოებებიდან ამოკრეფილი ნაწყვეტები – ე.ხ.) ტიპის თხზულების შექმნაზე მუშაობის შთაბეჭდილებას ტოვებდეს, იგი მეტაფრასტულ ტექსტებს თავისი მიზნისთვის სასარგებლოდ და ესთეტიურად შესაფერისად მიიჩნევდა. ერთი მეტაფრასტული ტექსტიდან მონაკვეთების მიჯრით გამოყენება შეინიშნება 2-34-დან 153-ის ჩათვლით, სადაც 8 მონაკვეთი (აქედან 3 მონაკვეთი ვრცლად) გამოყენებულია პრაქტიკულად უცვლელად სერგისა და ბაქოსის ცხოვრებიდან (თუმცა გადაჯაჭვულია ბალავარიანის ნაწყვეტების თარგმანთან და ბიბლიურ თუ პატრისტიკულ ლიტერატურასთან). იგივე ხდება მარტინიანეს ცხოვრების შემთხვევაშიც, რომელიც ფართოდაა გამოყენებულია 30.115-დან 197-მდე; კვიპრიანეს ცხოვრება (32.98-152); პავლე თებაიდელის ცხოვრება (38.28-40.60); ილარიონის ცხოვრება (40.97-116). ყველა ამ შემთხვევაში ეფთვიმეს ხელთ უნდა ჰქონოდა მეტაფრასტული ტექსტები. ზუსტი გადმოტანა საკმაოდ გრძელი პასაჟებისა პროდუქტი უნდა იყოს პირველწყაროების უშუალო მოძიებისა (შესაძლოა ეფუძნებოდეს გარკვეული მიზნით წინასწარ შერჩეულ ტექსტებს).

ვიციტ, რომ სიმეონ მეტაფრასტი მეორეულ წყაროებსაც იყენებდა (ანუ სხვა ტექსტებს, არა პირველწყაროების ტექსტებს – ტექსტის გადამუშავების [მეტაფრასირების – ე.ხ.] მიზნით).⁵¹ ეს ერთგვარ მსგავსებას გვაჩვენებს სიმეონსა და ეფთვიმეს შორის, მაგრამ ამ თვალსაზრისით ისინი ფუნდამენტურად

⁵¹ W. Lackner, *Zu Editions-geschichte, Textgestalt und Quellen der Passio S. Polyeucti des Symeon Metaphrastes*, in: *Byzantios: Festschrift für Herbert Hunger zum 70. Geburtstag*, hrsg. von W. Hörandner, J. Koder, O. Kresten & E. Trapp, Wien 1984, pp. 221-31. წმინდანის წერილის „დოკუმენტურად გამოყენების“ სპეციფიკური შემთხვევის შესახებ იხილეთ: C. Høgel, „ბიზანტიელი წმინდანის თეოდორე გრაპსოსის წერილი, როგორც ჩართული დოკუმენტი“: *Medieval letters: between fiction and document*, ed. By C. Høgel & E. Bartoli, Turnhout 2015, pp. 307-16.

სხვაობენ ერთმანეთს: სიმეონი მეორეულ ლიტერატურას გადამუშავებისას ურთავდა, რათა დამატებითი ინფორმაციით შეევსო ტექსტი. მის მიერ გამოყენებული მეორეული ლიტერატურა წმინდანთა შესახებ იმ დეტალებს გვაცნობდა, რომელსაც პირველადი წყარო არ იძლეოდა. ეფთვიმე კი იყენებდა მეტაფრასტული ტექსტის მონაკვეთებს, არა იმ მიზნით, რომ ისინი დამატებით ინფორმაციას იძლეოდნენ, არამედ უბრალოდ, მათში იგი სასარგებლო, მზა ფრაზებს ხედავდა. მუშაობის ეს სტილი, თვით ციტატების კრებულებითაც, ძალიან ემსგავსება იმას რაც გამოვლენილია ნიკოლოზ კატასკეპენის *კირილეს ცხოვრებასა* და მე-12 საუკუნეში შექმნილ სხვა ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში.⁵² ამრიგად, ამ მხრივ, ეფთვიმემ გადაუხვია სიმეონ მეტაფრასტის მუშაობის ხერხებს და სანაცვლოდ, როგორც ჩანს, გზა გაუკვალა ბერძნული ჰაგიოგრაფიული თხზულების ახლებური სტილით წერას.

დასკვნა

ცხადია, ეფთვიმეს, აღიარებით იმისა, რომ იგი *ამეტაფრასტებდა* მის ურიცხვ ბერძნულ-ქართულ თარგმანებსა და მის დიდ ქართულ-ბერძნულ თარგმანს, *ბარლაამს*, ნამდვილად შეიძლება ეწოდოს მეტაფრასტი. ამავე დროს, იგი იმ თვალსაზრისითაც არის *μεταφραστής*, რომ მისი *ბარლაამი*, სიმეონის მენოლოგიონიდან ურიცხვი ციტირებების გამო, ძალიან დაემსგავსა მეტაფრასტულ ტექსტს. რაც შეეხება მუშაობის ხერხებს, ფრაგმენტების ერთად დალაგების ეფთვიმესეულ მეთოდს, რომლის შედეგადაც ერთ მთლიან მოზაიკას ვიღებთ, სიმეონთან პარალელი არ ეძებნება. იგი მხოლოდ ისეთ მეორეულ ტექსტებს იყენებდა, რომლებიც დამატებით ისტორიულ მონაცემებს სთავაზობდნენ.

ეფთვიმეს ლიტერატურული სიდიადე გავლენას ახდენდა არა მხოლოდ ათონის მთაზე ქართველთა დაწინაურებულ პოზიციაზე, არამედ ზოგადად ბიზანტიის ინტელექტუალ ცხოვრებაზე. არა მხოლოდ *ვარლაამი* და *იოასაფი* გახდა ფართოდ აღიარებული ტექსტი, არამედ ჩანს, რომ დიდი იყო ქართველთა ძალისხმევა მეტაფრასტული ტექსტების წარმატებაში. რთულიც კია შევაფასოთ ჭეშმარიტი არსი ივირონის თავდადებისა მეტაფრასტულ აქტივობაში; რაც გამოვლინდა მეტაფრასტული ტექსტების შემცველ ბერძნული ხელნაწერების

⁵² იხ.: *La vie de saint Cyrille le Philéote, moine byzantin*, introd., texte crit., trad. et notes par É. Sargologos (Subs, hag. 39), Bruxelles 1964, pp. 32-7; M. Mullett, *Novelisation in Byzantium: narrative after the revival of fiction: Byzantine narrative: papers in honour of Roger Scott*, ed. By J. Burke et al., Melbourne 2006, pp. 1-28, pp. 16-7.

შექმნაში, მათ ქართულად თარგმნასა და ბარლაამში მათგან ციტატების ჩართვის საშუალებით გავრცელებაში. ეფთვიმე და სხვა ივირონელები, როგორც ჩანს, სათუთად ინახავდნენ ამ ტექსტებს.

ამრიგად, გროსმანის ანალიზმა, რომელმაც აჩვენა, რომ სწორედ ეფთვიმე იყენებდა სიმეონ მეტაფრასტის ტექსტებს და არა პირიქით, გაცილებით მარტივი ქრონოლოგია წარმოგვიდგინა, თუ როგორ ხორციელდებოდა უშუალო მიმოქცევა ტექსტებისა ათონსა და კონსტანტინოპოლს შორის. და აგრეთვე გვიჩვენა საწყისი წერტილი საშუალო ბიზანტიურ ლიტერატურაში ორი ყველაზე წარმატებული თხზულების მწერალთა მოღვაწეობისა და სამყაროს გასააზრებლად.

*თარგმანი შესრულებულია მონაზონ დინარასა (ქეთევან ჯორბენაძე)
და ელგუჯა ხინთიბიძის მიერ*